



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსანდრე კვახაძე

ჩეჩენთა შეკვეთილი მკვლევლობები ევროპაში
და რამზან კადიროვი

2020

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2020

2020 წლის 30 იანვარს სასტიკად მოკლეს საფრანგეთში მცხოვრები ჩეჩენი ბლოგერი იმრან ალიევი, მეტსახელად მანსურ სტარი, დანით, მისსავე საცხოვრებელ ბინაში.¹ ამავე წლის 26 თებერვალს შვედეთში მცხოვრები ცნობილი ჩეჩენი ბლოგერისა და რამზან კადიროვის კრიტიკოსის ტუმსო აბდურაჰმანოვის ბინაში უცნობი მამაკაცი შეიჭრა და მძინარე ბლოგერს თავში რამდენჯერმე ჩაარტყა ჩაქუჩი, თუმცა აბდურაჰმანოვმა მოახერხა თავდამსხმელის მოგერიება, განეიტრალება და პოლიციისთვის ჩაბარება. როგორც გამოძიებამ შემდგომში დაადგინა, თავდასხმის უკან რუსეთის მოქალაქეების ჯგუფი იდგა. ეს სამი შემთხვევა დევნილობაში მყოფი ეთნიკური ჩეჩნების შეკვეთილი მკვლელობებისა თუ მკვლელობის მცდელობების სერიებზე მეტყველებს.

ჩეჩნეთის ომი და შეკვეთილი მკვლელობების მიმოხილვა

ჩეჩნეთის ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ათასობით ჩეჩენი დევნილი, მათ შორის, არაღიარებული მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნები თუ საველე მეთაურები, უცხო ქვეყნებში დასახლდნენ, მათ მიმართ არაერთხელ მოხდა ფიზიკური ანგარიშსწორება. მაგალითად, ამ მკვლელობათა სერიის არასრული ჩამონათვალია² ჩეჩნეთის მეორე პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობა კატარში, უმარ ისრაილოვის მკვლელობა ავსტრიაში, მუსა ასაევისა და ათამდე სხვა ჩეჩენი ვეტერანის მკვლელობა სტამბოლში, რუსლან პაპასკირის (ალი დაბუევის), ისა მუნაევისა და ამინა ოქუევის მკვლელობა უკრაინაში. ეს ინციდენტები, როგორც წესი,

¹ BBC (2020). *Chechen Blogger Tumso Abdurakhmaniv 'Survives Hammer Attack'*. Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-51656571>

² Kommersant (2013). *gromkiye ubiystva chechentsev v stambule: istoriya voprosa* [სტამბოლში ჩეჩენტა გახმაურებული მკვლელობები: საკითხის ისტორია]. Available at: <https://www.kommersant.ru/doc/2195701>; Ekho Kavkaza (2017). *vtoroy front chechenskoy voini* [ჩეჩნეთის ომის მეორე ფრონტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/28747477.html>; Krym Realii (2017). *eto vizov strane: kto stoit za ubiystvom aminy okuevoy* [ეს გამოწვევაა ქვეყნისათვის: ვინ დგას ამინა ოქუევის მკვლელობის უკან?]. ხელმისაწვდომია: <https://ru.krymr.com/a/28826330.html>; Kavkazskiy Uzel (2016). *zelimkhan yandarbiyev abdulmuslimovich* [ზელიმხან აბდულ მუსლიმის ძე იანდარბიევი]. ხელმისაწვდომია: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/171845/>

ჩეჩნეთის ომთან თუ მის შემდგომ შეიარაღებული დაჯგუფებების წევრობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ბოლო წლებში სავარაუდო მსხვერპლთა არეალი მკვეთრად გაიზარდა და მასში რამზან კადიროვის კრიტიკოსებიც კი მოხვდნენ. რამზან კადიროვი, რომელიც წლებია ერთპიროვნულად მართავს ჩეჩნეთის რესპუბლიკას, შეუწყნარებელია განსხვავებული აზრის მიმართ როგორც ჩეჩნეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ჩეჩნეთში პოლიტიკური და განსხვავებული აზრის გამო დევნა არ არის ახალი მოვლენა. ჩეჩნეთში მომუშავე არაერთი უფლებადამცველი პოლიტიკური დევნისა და ანგარიშსწორების მსხვერპლი გამხდარა. ამის მაგალითია ჩეჩნეთში მოკლული უფლებადამცველი ნატალია ესტემიროვა და აგრეთვე ორი წლის წინ დაპატიმრებული უფლებადამცველი ოიუბ ტიტევი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გათავისუფლდა. მეტიც, ჩეჩნეთში მომუშავე “ნოვია გაზეტას” ჟურნალისტი ელენა მილაშინა გროზნოს ცენტრში დაქირავებული არაფორმალური ჯგუფების თავდასხმის ობიექტი გახდა თავისი კრიტიკული სტატიების გამო.³ გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის მასშტაბით გავრცელებულია ე.წ. “ბოდიშის მოხდის” ვიდეოების პრაქტიკა, როდესაც რამზან კადიროვის საჯარო კრიტიკოსს მუქარითა თუ ძალადობით თავისი სიტყვების უკან წაღებასა და რამზან კადიროვისთვის ბოდიშის მოხდას აიძულებენ და მისი მობოდიშება საჯაროვდება.

ბოლო წლებია რამზან კადიროვის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ბლოგერი ტუმსო აბდურაჰმანოვაა. ჩეჩნეთის დატოვებამდე აბდურაჰმანოვი ერთ-ერთ საჯარო სამსახურში მუშაობდა, თუმცა რამზან კადიროვის გარემოცვასთან პირადი დაპირისპირების გამო იძულებული იყო დაეტოვებინა ჩეჩნეთი და რესპუბლიკის პირველი პირი ონლაინსივრციდან გაეკრიტიკებინა.⁴ თავდაპირველად აბდურაჰმანოვი საქართველოში ცხოვრობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ვერ მიიღო

³ Novaya Gazeta (2020). ya killer kadyrova [მე კადიროვის ქილერი ვარ]: ხელმისაწვდომია:

<https://novayagazeta.ru/articles/2020/02/15/83940-ya-killer-kadyrova>

⁴ Ekho Kavkaza (2016). tumso abdurakhmanov v begakh iz za nepravelnoy borody [ტუმსო აბდურაჰმანოვი:

დევნულობა “არასწორი” წვერის გამო]. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/27721282.html>

პოლიტიკური თავშესაფარი, ევროკავშირს მიაშურა. აბდურაჰმანოვი ფლობს Youtube-არხს, რომელსაც უამრავი გამომწერი ჰყავს და მისი ზოგი ვიდეოს ნახვა მილიონს აჭარბებს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვიდეოა ტუმსო აბდურაჰმანოვისა და რამზან კადიროვის გარემოცვის წევრის, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერ მაგომედ დაუდოვის, მეტსახელად “ლორდის”, სატელეფონო საუბრის სრული აუდიოჩანაწერი, სადაც ის აბდურაჰმანოვს ემუქრება.⁵ გარდა ამისა, აბდურაჰმანოვს კადიროვისა და მისი გარემოცვის უამრავი მამხილებელი ვიდეო აქვს ატვირთული. ერთ-ერთ საუბარში კადიროვმა განაცხადა, რომ აბდურაჰმანოვი არის მისი მოსისხლე მტერი, რაც ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენია. აბდურაჰმანოვის ნათესავები მუქარით აიძულებს საჯაროდ ეთქვათ უარი მასზე და გამიჯნოდნენ მას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც აბდურაჰმანოვს ანგარიშსწორებით ემუქრებიან, არის მისი კრიტიკული დამოკიდებულება რამზან კადიროვის მამის – აჰმად კადიროვის მიმართ. აბდურაჰმანოვი ეჭვქვეშ აყენებს კადიროვ უფროსის ღვაწლს ჩეჩენი ერის ისტორიაში და ირონიულად მოიხსენიებს ე.წ. “აჰმადის გზის” კონცეფციას, რომელიც კადიროვის რეჟიმის შიდაპოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. რამზან კადიროვს მამამისი ჩეჩნური რესპუბლიკის დამფუძნებელ მამად და დიდ მუსლიმ მოღვაწედ მიაჩნია, აბდურაჰმანოვის აზრით კი, აჰმად კადიროვი კრემლის ერთი რიგითი კოლაბორაციონისტი და მოღალატე იყო. აღსანიშნავია, რომ რამზან კადიროვი მამამისის მიმართ ნებისმიერ კრიტიკას მტკივნეულად აღიქვამს.⁶

კადიროვის სიკვდილის ბრიგადები მსოფლიოში

ყოველივე ამის გათვალისწინებით საინტერესოა, თუ რა მეთოდებით ებრძვის რამზან კადიროვი თავის ოპონენტებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. პირველ

⁵ YouTube (2018). razgovor s kadyrovskim lordom [საუბარი კადიროველ “ლორდთან”]. ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=gFIsC77234s>

⁶ Kavkazski Uzel (2019). vostokovedy posporili s tumso o statuse ahmata kadyrova v chechne [ადმოსავლეთკოდნეები ტუმსოს შეედავენ ჩეჩნეთში აჰმად კადიროვის სტატუსის შესახებ]. ხელმისაწვდომია: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/336585/>

რიგში, კადროვის რეჟიმს ფაქტობრივად მძევლად ჰყავს აყვანილი საზღვარგარეთ მყოფი ჩეჩნების ის ნათესავები, რომლებიც ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ცხოვრობენ. ვინაიდან ჩეჩნებში ნათესავების წრე საკმაოდ ფართოა, ამიტომ ვერ ხერხდება ოჯახის სრულად გახიზვნა ევროპაში და კადროვიც ხშირად იყენებს თავისი ოპონენტების ოჯახის წევრების მიმართ ზეწოლას.⁷ რაც შეეხება უშუალოდ საზღვარგარეთ მყოფ პირთა დევნას, საამისოდ კადროვს კრიმინალთან დაკავშირებული პირების დიდი ჯგუფი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩეჩურმა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა ფართოდ მოიკიდეს ფეხი როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ევროპის ქვეყნებში.⁸ სათანადო ინფორმაციის არქონის გამო ევროპული ქვეყნების საიმპერაციო სამსახურებს უჭირთ თავშესაფრის მაძიებელი ჩეჩნების ბიოგრაფიის ზედმიწევნით შესწავლა და მათი გაფილტვრა, რის გამოც, დასავლეთის ქვეყნებში კადროვის რეჟიმის უამრავი მხარდამჭერი, მათ შორის, დანაშაულებრივი სამყაროს წევრიც ხვდება. ჩეჩური დანაშაულებრივი სამყაროს წევრი ჯგუფები, როგორც წესი, ისევ უცხოეთში მომუშავე ჩეჩენ ბიზნესმენებზე ახორციელებენ რეკეტს. თუმცა, გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, მათი ნაწილი მზად არის კადროვის უკანონო დავალების შესასრულებლად და კონკრეტული პირის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ლიკვიდაციისთვისაც კი. ამგვარი ჯგუფების ლობირების მიზნით ევროპაში შექმნილია კადროვის მომხრეთა რამდენიმე ჩეჩური ორგანიზაცია, რომელიც კადროვის გარემოცვის წევრებს ევროკავშირში თავშესაფრის მიღებასა და დამკვიდრებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ რს ჯგუფები

⁷ Kavkaz Uzel (2019). rodstveniki publichno otreklis ot tumso abdurakhmanova. [ნათესავებმა საჯაროდ უარყვეს ტუმსო აბდურაჰმანოვი]. ხელმისაწვდომია: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/334920/>

⁸ DW (2019). aktivnost chechenskoy mafii v frg vizivayet trevogu u politsii. [ჩეჩური მაფიის აქტივობა გერმანიაში იწვევს პოლიციის შემფოთებას]. ხელმისაწვდომია:

<https://www.dw.com/ru/%D0%B0%D0%BA%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D1%8C-%D1%87%D0%B5%D1%87%D0%B5%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9-%D0%BC%D0%B0%D1%84%D0%B8%D0%B8-%D0%B2-%D1%84%D1%80%D0%B3-%D0%B2%D1%8B%D0%B7%D1%8B%D0%B2%D0%B0%D0%B5%D1%82-%D1%82%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BE%D0%B3%D1%83-%D1%83-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8/a-48673185>

ევროპაში ისლამური სახელმწიფოს მხრიდან არსებული ტერორისტული საფრთხით სარგებლობენ და აქტიურად თანამშრომლობენ ევროპული ქვეყნების სამართალდამცავ სტრუქტურებთან. თუმცა, მათი თანამშრომლობის მიზანი მათთვის სასურველი პირის რუსეთის ფედერაციასა და, შესაბამისად, ჩეჩნეთში ექსტრადირებაა.

გარდა რეალური სივრცისა, კადიროვის რეჟიმი ონლაინსივრცეშიც აქტიურობს. აღსანიშნავია მათგან მართული ე.წ. “ტროლები”, რომლებიც კადიროვის ოპონენტების სოციალური მედიის ანგარიშებზე აქტიურობენ. ამასთან, ცალკეული ჯგუფები ეძებენ და ავლენენ კადიროვისა და მისი გარემოცვის წევრების შესახებ ნეგატიური კომენტარების ავტორებს და შემდგომ მათ ანგარიშსწორებით ემუქრებიან. მეტიც, სავარაუდოდ, კადიროვის განკარგულებაშია ჰაკერთა ჯგუფი, რომელიც მისი კრიტიკოსების ადგილმდებარეობისა და საცხოვრებელი მისამართების გამოვლენით არის დაკავებული. მაგალითად, ტუმსო აბდურაჰმანოვი, რომელზედაც თავდასხმა მოხდა, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, საგულდაგულოდ მალავდა თავის ადგილსამყოფელს და მისი ლოკაციის დადგენა მხოლოდ მის ციფრულ მოწყობილობებში უკანონოდ შეღწევის გზით იყო შესაძლებელი.

კადიროვი და საქართველო

რამზან კადიროვი წლებია ყურადღებას იჩენს პანკისის ხეობისა და მისი მოსახლეობის მიმართ. მან, როგორც ევროპის ზოგ სახელმწიფოში, ჯერჯერობით ვერც საქართველოში მოახერხა საკუთარი გავლენების ქსელის შექმნა. თუმცა, ამის მცდელობა აუცილებლად იქნება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობაში კადიროვის მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. ყოველივე ეს დაადასტურა 2018 წელს რელიგიური დღესასწაულისას გამართულ დოღზე მომხდარმა ინციდენტმა, როდესაც კადიროვის მომხრეთა მცირე ჯგუფს

პანკისის მოსახლეობამ არ მისცა საშუალება გაეშალა კადროვის მხარდამჭერი დროშები და ბანერები.

ერთ-ერთი ბერკეტი, რაც კადროვს პანკისის ხეობაში აქვს, არის ადგილობრივთა ჩეჩნეთში მცხოვრები ნათესავები. 90-იანი წლების შემდეგ პანკისის ხეობის არაერთი მკვიდრი სამუშაოდ გადასახლდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. კადროვის რეჟიმმა ნებისმიერ დროს შეიძლება გამოიყენოს ეს პირები მათ ნათესავებზე ზეწოლისათვის. გარდა ამისა, კადროვი შეეცდება საკუთარი გავლენის გაზრდას პანკისის ხეობაში და სხვადასხვა ინტერესჯგუფის დაფინანსებას. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობაში მისი მხარდამჭერები საკმაოდ მცირე რაოდენობით არიან, ის აუცილებლად გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

გარდა ამისა, კადროვის ხელში არსებული პროპაგანდისტული მანქანა განაგრძობს კადროვის უძლეველობის მითის გაძლიერებასა და პანკისის ხეობაში მის პოპულარიზაციას. ამ მითის მთავარი ნარატივი შეიძლება იყოს: “შეიძლება კადროვი სასტიკია, მაგრამ ის ძლიერი მმართველია”, “კადროვმა ჩეჩნეთი ეკონომიკურად ააღორძინა და წესრიგი დაამყარა”, “კადროვი ჩეჩნების ინტერესს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იცავს”, “კადროვს იმდენად ძლიერი სპეცრაზმი ჰყავს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეუძლია ოპერაციის ჩატარება” და ა. შ. ასეთი მითების გავრცელება ხდება როგორც სოციალური მედიის, ისე ტელეკომპანია ЧИТРК გროზნოს მეშვეობით, რომლის მაუწყებლობაც პანკისის ხეობაშიცაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ არხს პანკისის ხეობაში უაღრესად დაბალი რეიტინგი აქვს.

რაც შეეხება უშუალოდ საფრთხეს, კადროვის რეჟიმის სამიზნედ საქართველოში შეიძლება აღმოჩნდნენ ორი კატეგორიის პირები. პირველი ასეთი სამიზნე ჯგუფია პანკისელი აქტივისტები. მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის კადროვის რეჟიმი და მისი მეთოდები არის უცხო და მიუღებელი. თუნდაც ისინი კონკრეტულად არ აქტიურობდნენ კადროვის წინააღმდეგ, ჩეჩენთა შორის სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ფორმით გამოვლენა საფრთხის შემცველად გამოიყურება, რადგან პანკისელი ქისტების აქტივიზმმა შესაძლოა მაგალითი მისცეს

ჩეჩნეთის მკვიდრებს, რომ უფრო აქტიურად და მკაფიოდ გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ.

კადიროვის მეორე სამიზნე ჯგუფი შესაძლოა გახდეს პანკისის ხეობაში არსებული სალაფიტი სასულიერო პირები. კადიროვი ცნობილია მისი შეურიგებელი პოზიციით სალაფიზმის მიმართ. დევნის ობიექტები ხდებიან არა მხოლოდ ჯიჰადის სხვადასხვა ჯგუფთან დაკავშირებულები, არამედ მშვიდობიანი სალაფიტებიც. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სასულიერო სფერო მონოპოლიზებული აქვს კადიროვის მიერ კონტროლირებად ჩეჩნეთის სასულიერო სამმართველოს, რომელიც სუფიურ ისლამს მისდევს და ნებისმიერი სხვა მიმდინარეობა, მათ შორის სალაფიზმი, კონკურენტად მიაჩნია. მართალია, პანკისელ სალაფიტთა უდიდესი ნაწილი არ ცხოვრობს და არც არის ნამყოფი ჩეჩნეთში, მაგრამ ხელმისაწვდომია სოციალური მედიით პანკისელი სასულიერო პირების ქადაგებების ჩანაწერები ჩეჩნურ ენაზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პანკისელ სასულიერო პირთა ქადაგებები ეწინააღმდეგება ჩეჩნეთის ოფიციალურ ნარატივს, კადიროვის რეჟიმი მკვეთრად რეაგირებს ამგვარ საკითხებზე. მეტიც, კადიროვის რეჟიმმა შესაძლოა გამოიყენოს სირიის კონფლიქტისა და მასში საქართველოს მოქალაქეობის მონაწილეობის საკითხი და საქართველოს ხელისუფლებას “ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ერთობლივი ბრძოლა” შესთავაზოს, რაც შეიძლება მოიცავდეს პანკისელ ისლამურ აქტივისტებზე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლასა და სხვა ქმედებებს.

დაბოლოს, საქართველოში კადიროვის მეთოდების იმპორტის რისკიც არსებობს. ამის პირველი გახმაურებული შემთხვევა იყო მარნეულის ყოფილი მერის, თემურ აბაზოვის საქმეც, როცა მან მისადმი კრიტიკულად განწყობილი პირი დაამცირა, ბოდიში მოახდევინა და დამცირების აქტი ვიდეოზე ჩაწერა.⁹ ანალოგიური ქმედება დაფიქსირდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის – ჰამიდ სადიხის შემთხვევაშიც. მასწავლებელმა გააპროტესტა თავისი

⁹ Liberali (2018). მარნეულის მერი თემურ აბაზოვი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებით დააკავეს. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/news/view/37679/marneulis-meri-temur-abazovi-araadamianuri-da-damamtsirebeli-mopyrobis-braldebit-daakaves>

მოსწავლე გოგონას იძულებითი დაქორწინების მცდელობა, რის გამოც სოფლის მკვიდრებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ეს პროცესი ვიდეოზე გადაიღეს.¹⁰ მიუხედავად სახელმწიფოს დროული რეაქციისა, არსებობს რისკი, რომ კადროვის მიერ აპრობირებული ე.წ. “ბოდიშის მოხდის ვიდეოებმა” უფრო ფართოდ მოიკიდოს ფეხი საქართველოს დანაშაულებრივ სამყაროში თუ რეგიონალურ ბიზნეს-პოლიტიკურ ელიტებში.

დასკვნა

კადროვის ჩეჩნეთი თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ბრუტალური და ავტორიტარული რეჟიმია. ათწლეულებია ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გრძელდება პოლიტიკური დევნა და ოპონენტების მიმართ არასამართლებრივი ანგარიშსწორების მეთოდების გამოყენება. ბოლო წლებში ეს მეთოდები ჩეჩნეთის რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და მისი გამოყენება რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონებსა და დასავლეთის ქვეყნებშიც გაგრძელდა. ცნობილია, რომ რამზან კადროვს საქართველოს მიმართაც აქვს გარკვეული ინტერესები და წლებია უშედეგოდ ცდილობს პანკისის ხეობაში თავის გავლენების გაზრდას. სწორედ ამიტომ არის მოსალოდნელი, რომ მისი ფაქტორი გარკვეულწილად გააქტიურდეს საქართველოს ტერიტორიაზე და ეს პრობლემა დიდ ყურადღებას მოითხოვს.

¹⁰ OC Media (2019). Azerbaijani Georgian Teacher Made to Apologise for Protesting Bride Kidnapping [ქართველ აზერბაიჯანელ მასწავლებელს აიძულეს ბოდიში მოეხადა გოგონს მოტაცების გაპროტესტებისათვის]. ხელმისაწვდომია: <https://oc-media.org/azerbaijani-georgian-teacher-made-to-apologise-for-protesting-bride-kidnapping/>